ლევან მუმლაძე

საქართველოს უდიდესი მეფეები

ვახტანგ გორგასალი

დავით აღმაშენებელი

თამარ მეფე

გიორგი ბრწყინვალე

თბილისი

2012

რედაქტორი - ზაზა აბაშიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა - მაია კიწმარიშვილი

ISBN 978-9941-0-4599-8

© ლევან მუმლაძე

წინასიტყვაობა

აღნიშნული ნაშრომი ეძღვნება საქართველოს ისტორიაში უდიდესი მეფეების ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და გიორგი ბრწყინვალის ცხოვრებას და მოღვაწეობას.

ამ მონარქებს აერთიანებდათ როგორც პოლიტიკური და სახელმწიფო საქმიანობის მასშტაბები , ასევე ქრისტიაული რწმენისადმი ერთგულება და მისდამი თავდადება.

წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს ბავშვებს და მოსწავლე - ახალგაზრდობას საქართველოს ისტორიის უკეთ შეცნობასა და ქრისტიანული რწმენის განმტკიცებაში.

ვახტანგ გორგასალი (442-502წწ.)

ქართლის სამეფოს გაქრისტიანების (326წ) შემდეგ მეათე მეფე იყო ვახტანგ გორგასალი. მეტსახელი „გორგასალი“ სპარსულად მგლისთავას ნიშნავს. ამ მეტსახელის გაჩენა უკავშირდება ვახტანგ მეფის მუზარადს , რომლის წინა მხარეს მგელი იყო გამოსახული. გორგასლის მემატიანის ჯუანშერის თანახმად მეფის სიმაღლე იყო 12 ბრჭალი (1ბრჭალი-20სმ_ავტ.) , რაც 2 მეტრსა და 40 სანტიმეტრს შეადგენდა, რის გამოც სპარსი მეომრები ერთმანეთს ურჩევდნენ „ მორიდებოდნენ მგლისთავას“ (სპარსულად „დურ აზ გორგასალ“- ავტ.). ვახტანგ გორგასლის მამა იყო მირდატ მეხუთე არჩილის -ძე--ქართლის მეფე, რომელმაც თავი გამოიჩინა სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში. მირდატ მეფეს რანის პიტიახშის , იგივე ერისთავის ასული საგდუხტი შეუყვარდა და ცოლად შეირთო. მალე დედოფალი გაქრისტიანდა. მირდატს და საგდუხტს სამი შვილი (ორი ასული და ერთი ვაჟი- ავტ) შეეძინათ: უფროსი ხუარანძე, შუათანა ვახტანგი , უმცროსი-მირანდუხტი.

საგდუხტის მამა ბარზაბოდი სპარსეთის შაჰს ემორჩილებოდა და მისი პოლიტიკის გამტარებელი იყო სამხრეთ კავკასიაში. ამიტომ ბარდავში სტუმრად ჩასულმა ქალიშვილმა მამისგან ქართლის აოხრებისაგან თავის შეკავება და ქრისტიანული მოსახლეობის რწმენის დაცვა ითხოვა და მიიღო კიდეც, თუმცა სანაცვლოდ ბარზაბოდმა ქართლში მაზდეანი, იგივე ცეცხლთაყვანისმცემელი ქურუმების საქმიანობის ხელშეწყობა მოითხოვა. საგდუხტი იძულებული იყო ამ პირობაზე დათანხმებულიყო. მაზდეანთა წინამძღოლი ბინქარანი ქართლის სამეფოში წარმატებით ავრცელებდა ცეცხლთაყვანისმცემლობას.

უფლისწულ ვახტანგის აღზრდაზე ზრუნავდნენ ქართლის სპასპეტი საურმაგი და მთავარეპისკოპოსი იოველი. ვახტანგი სპასპეტის ოჯახში იზრდებოდა. შვიდი წლის ვახტანგს 450 წელს მამა გარდაეცვალა, რანის პიტიახშმა ქართლის მეფის ტახტზე მცირეწლოვანი შვილიშვილი დაამტკიცა. ვახტანგს ქართლთან ერთად ჰერეთის გამგებლობაც დაევალა. დედოფალმა საგდუხტმა ვაჟის აღსაზრდელად საბერძნეთიდან ჩამოიყვანა „ მღვდელი ჭეშმარიტი“ მიქაელი, რომელიც ქართლის მთავარეპისკოპოსი გახდა. მან თავი გამოიჩინა მაზდეანებთან ბრძოლაში. იგი ვახტანგს ქრისტეს სიყვარულს და წერა-კითხვას ასწავლიდა.

10 წლის იყო ვახტანგი, როდესაც ქარლის სამეფოს ოსები შემოესივნენ. მათ დაიპყრეს აფხაზეთი, ხოლო კასპში გაძიძავებული მეფის უმცროსი და მირანდუხტი გაიტაცეს.

15 წლის იყო ვახტანგი , როდესაც ქართლში პირველი სამეფო თათბირი ჩაატარა, რომლის გადაწყვეტილებით გადაწყდა ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობა. ვახტანგ მეფემ სალაშქროდ შეკრიბა 100 ათასი ცხენოსანი და 60 ათასი ქვეითი მეომარი, რომელთაც დაემატა ვარაზ-ბაკურის 12 ათასიანი ცხენოსანი და კავკასიელთა 50 ათასიანი ჯარი. 16 წლის ვახტანგი თავისი ლაშქარით ოსეთში შევიდა. მდინარე თერგის ნაპირზე განლაგებული იყო ოსებისა და ხაზართა გაერთიანებული ჯარი.

პირისპირ გამართულ ბრძოლაში ქართლის ჭაბუკმა მეფემ მოკლა ხაზართა გოლიათი თარხანი, ოსთა რჩეული მებრძოლი ბაყასთარი. ქართლის სამეფო ლაშქარმა დაამარცხა ოსთა ჯარი, რის შემდეგაც წარმატებით ილაშქრა აფხაზეთში , სადაც ბერძნებისაგან გაათავისუფლა ყველა ციხე-სიმაგრე.

მცხეთაში დაბრუნებულმა ვახტანგმა ცოლად შეირთო სპარსთა, იგივე ირანის შაჰის ასული ბალანდუხტი, რომელსაც მამამ მზითვად მიართვა დაპყრობილი სომხეთი და კავკასიის სამეფოები, რომლებიც სიძეს დაუმორჩილეს.

ირანის შაჰმა ვახტანგ მეფეს ბერძენთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. ამ დროს მეფე 30 წლის ვაჟკაცი იყო, რომელსაც მემატიანე ჯუანშერის გადმოცემის თანახმად შეეძლო „ ხელით დაეჭირა ირემი, ხოლო შეჭურვილი ცხენის მხრებზე შეგდება და ასეთნაირად არმაზის მთაზე მდებარე ციხეში ასვლა შეეძლო“ (იხ. ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“).

453-456 წლებში ირანსა და ბიზანტიას შორის მორიგი ომი მიმდინარეობდა, რომელშიც ვახტანგი ირანელთა მხარეზე აღმოჩნდა, რადგან ირანის მეშვეობით ბიზანტიის მიერ წართმეული ტერიტორიების დაბრუნება სურდა. ვახტანგ გორგასალმა დაარბია მთელი ოსეთი და დალაშქრა მათი მოკავშირე მომთაბარე ჰუნებიც. ამის შემდეგ, ვახტანგ მეფე თავის ლაშქრით კოდორის ხეობით-დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც ბიზანტიის წინააღმდეგ გაილაშქრა. იმჟამად ეგრისში გუბაზ პირველი (550-570წწ.) მეფობდა, რომელსაც ბიზანტიელთა წინააღმდეგ ჯარით დაეხმარა ქართლის მეფე. ბიზანტიელები აღშფოთებულები იყვნენ ეგრისის მეფის მოქმედებით, რომელმაც კეისრისაგან დამოუკიდებლად გადაწყვიტა ტახტზე აეყვანა თავსისი მემკვიდრე. დახმარების სანაცვლოდ ქართლის სამეფომ ეგრისის სახელმწიფოს ჩამოართვა თაკვერის, არგვეთის და კლარჯეთის საერისთავოები, რომელიც თავის ქვეყანას შეუერთა. გორგასლის პირველმა მეუღლემ ბალანდუხტმა ტყუპი ქალ-ვაჟი შვა და მშობიარობას გადაჰყვა. იმჟამად ვახტანგ მეფე ბიზანტიის კეისართან და ირანის შაჰთან საიდუმლო მოლაპარაკებებს ერთდროულად აწარმოებდა. კეისარი გორგასალს სპარსელებისგან გათავისუფლებას ჰპირდებოდა, ხოლო ირანის შაჰი

ვახტანგს, ხარკისა და მორჩილების სანაცვლოდ, მის ქვეყანაში მაზდეანობის გავრცელებაზე უარის თქმას სთავაზობდა.

V საუკუნის 60-იან წლებში ირანი შუა აზიაში მომთაბარე ჰუნთა ტომებს ებრძოდა, რაშიც შაჰი ვახტანგ მეფეს სთხოვდა დახმარებას. იმავე პერიოდში პეროზ შაჰმა ქართლის მეფის უმცროსი და მირანდუხტი ცოლად შეირთო. ვახტანგ მეფემ თავის ხუთი წლის ვაჟს არჩილს დაადგა სამეფო გვირგვინი. ქართულ საისტორიო წყაროებში იგი ხან „დაჩის“, ხანაც „დაჩი უჯარმელის“ სახელებითაა მოხსენიებული.

ვახტანგ მეფე თავისი ჯარით ირანს დაეხმარა შუა აზიაში ჰუნების წინააღმდეგ ბრძოლაში, შემდეგ ინდოეთშიც ილაშქრა. ეს ლაშქრობები რვა წელი გაგრძელდა- 468 წლამდე.

სამშობლოში ვახტანგ გორგასლის არყოფნით ისარგებლეს ბიზანტიელებმა, რომლებმაც ეგრისზე თავისი უზენაესობა აღადგინეს , რასაც 465 წელს გუბაზ I-ის კონსტანტინეპოლში კეისართან ვიზიტი მოჰყვა. ირანის წინააღმდეგ ლაშქრობის წინ ვახტანგ მეფე ბიზანტიის კეისარს დაუახლოვდა და მისი ასული ელენე ცოლად შეირთო.

ვახტანგ მეფე აქტიურად ეწეოდა ეკლესიების მშენებლობას ქვეყნის შიგნითაც და მის ფარგლებს გარეთაც. ასე მაგალითად, იერუსალიმში ააშენა ჯვრის მონასტერი, მანვე მცხეთაში სვეტიცხოვლის ხის ეკლესიის ნაცვლად ააგო ქვის პირველი ბაზილიკური , ანუ უგუმბათო ტაძარი. 479-494 წლებში აშენდა ბოლნისის სიონის ე.წ. სამნავიანი ტაძარი, რომელიც დავით ეპისკოპოსის სახელს მიეწერება. აქ იყო დაცული ასომთავრულით შესრულებული ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე გაკეთებული ერთ-ერთი უძველესი წარწერა (ამჟამად დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის თბილისის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში-ავტ.).

ვახტანგ გორგასლის ზეობის წლებში ქართლის სამეფოში აიგო საეპისკოპოსო კათედრები: აბიზა, არტაანი, წუნდა, მანგლისი, ბოლნისი, რუსთავი, ნინოწმინდა, ჭერემი, ჩელეთი , ხორნაბუჯი, აგარაკი, ნიქოზი. თბილისის აშენებამდე უჯარმა იქცა მეფის მთავარ რეზიდენციად. ვახტანგ მეფემ გაატარა მნიშვნელოვანი საეკლესიო რეფორმა, რომლის შემადგენელი ნაწილი იყო ქართლის სამეფოში 12 ეპისკოპოსის შეცვლა და V საუკუნის 70-იან წლებში (სახელდება სხვა წლებიც - ავტ.) კათოლიკოსის თანამდებობის შემოღება. ეს სიტყვა „საყოველთაოს“ (სიტყვა ბერძნული წარმოშობისაა) ნიშნავს. ქვეყნის პირველი კათოლიკოსი გახდა ბერძენი მღვდელი პეტრე.

ამ მოვლენას წინ უსწრებდა ვახტანგის კონფლიქტი მიქაელ მთავარეპისკოპოსთან , რომელმაც შუა აზიის ლაშქრობიდან დაბრუნებულ მეფეს ფეხით წინა კბილი

ჩაუმტვრია. ბოლო ხანებში მეცნიერები კონფლიქტის მიზეზად არა რელიგიურ კუთვნილებას, არამედ პოლიტიკურ შეხედულებებს შორის განსხვავებას მიიჩნევდნენ. ვახტანგ მეფემ აღნიშნული კონფლიქტის შესახებ აცნობა კეისარს და მიქაელი კონსტანტინეპოლში გააგზავნა დასასჯელად.

V საუკუნის 70-იან წლებში ვახტანგ გორგასალმა ეგრისის სამეფო ხელახლა დაიმორჩილა . ამავე პერიოდში მეფემ დაიმორჩილა სამხრეთ დაღესტანში წუქეთის საერისთავო, რომელიც შეუერთა ჰერეთის საერისთავოს.

გორგასალმა არაერთხელ შეძლო სპარსელების დამარცხება, თუმცა ისინი ქართველების წინააღმდეგ სულ ახალ-ახალ ლაშქარს აგზავნიდნენ.

502 წელს სპარსელებთან , იგივე ირანელებთან ვახტანგ გორგასალმა უკანასკნელი ბრძოლა გამართა. ქართლის მეფე ამ დროისათვის 60 წლის ყოფილა. ისრით სასიკვდილოდ დაჭრილი მეფე უჯარმაში გარდაიცვალა, დაკრძალეს სვეტიცხოველში .მის საფლავზე გამოსახული იყო გორგასალი მთელი ზომით. საუკუნეების მანძილზე ქართველთა სამეფო დროშას „გორგასლიანს“ უწოდებდნენ. ვახტანგ პირველის მეფობით (442-502წ) საქართველოს ისტორიაში დასრულდა ანტიკური პერიოდი და დაიწყო შუა საუკუნეების ხანა. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ვახტანგ მეფე წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ ძველი სტილით 30 ნოემბერი ,ხოლო- ახალი სტილით 13 დეკემბერი დააწესა.

დავით IV აღმაშენებელი (1089-1125)

1073 წელს საქართველოს მეფეს გიორგი II-სა (1072-1089წწ) და დედოფალ ელენეს შეეძინათ ვაჟი, რომელსაც დავითი უწოდეს. უფლისწული ქუთაისში , გეგუთის სამეფო სასახლეში დაიბადა. იმჟამად ქუთაისი ქვეყნის დედაქალაქად იყო ქცეული, რადგან ყოფილ სატახტო ქალაქს- თბილისს თურქები ფლობდნენ უკვე 400 წლის მანძილზე. „საზღვარგარეთ“ იყო დარჩენილი მთელი აღმოსავლეთ საქართველო და სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი.

მეფე გიორგი II-მ თავისი ერთადერთი ვაჟი აღსაზრდელად მიაბარა ქვეყნის პირველ ვეზირს გიორგი ჭყონდიდელს. ჭყონდიდელმა დავით უფლისწული მამაც მეომრად, წიგნიერ ადამიანად და გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწედ გაზარდა. 1089 წელს გიორგი II-მ თავის ვაჟიშვილს მთელი ძალაუფლება გადასცა და სამეფო გვირგვინი „თავისი ხელით დაადგა“ . ამ წლიდან საქართველოში დაიწყო დავით IV აღმაშენებლად წოდებულის მეფობა, რომელიც 36 წელი გაგრძელდა. ჭაბუკი მეფე იმჟამად 16 წლის იყო. მას მძიმე მემკვიდრეობა ერგო. კერძოდ, მომთაბარე თურქების მიერ ისე იყო აოხრებული სახელმწიფო , რომ ქვეყანაში აღარ იყო დარჩენილი მიწის მხვნელ-მთესველი. ხალხი შიმშილობდა და ტყე-ღრეებში იყო გახიზნული. მოსახლეობა ნადირობით და ტყის ხილით ირჩენდა თავს. დავით მეფემ ლიხის მთის ძირში , ნაღვლის თავში გადაწყვიტა მოსახლეობის დამცავი რაზმების შექმნა. ერთ-ერთ ასეთ რაზმს თვით მეფე ჩაუდგა სათავეში.

აღნიშნული რაზმები ხალხს ამხნევებდნენ და უსახავდნენ მომავლის იმედს. ისინი მოულოდნელად თავს ესხმოდნენ საქართველოში დაბინავებულ თურქ-სელჩუკებს, რომლებიც შიშის გამო ქვეყნიდან გარბოდნენ, ხოლო ადგილობრივი ქართველები სახლებში ბრუნდებოდნენ. ასე ლაგდებოდა ნელ-ნელა ქვეყანა. დავით IV აღმაშენებელმა დაიწყო ქვეყნის აღმშენებლობა, რომელიც განსაკუთრებით აქტიური მეფის ზეობის პირველ ოთხ წელიწადში იყო. ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ურჩი ფეოდალების დამორჩილება , ახალგაზრდა მეფეს ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია 5000 კაცისაგან შემდგარმა ე.წ. „მონა-სპამ“, რომელიც მეფის მიერ ტყვეობიდან გათავისუფლებული პირებისაგან შედგებოდა. ეს ძალა მეფის პირად გვარდიას შეადგენდა. მეფემ ასევე გააძლიერა ე.წ. „მსტოვართა ინსტიტუტი“, რომელსაც უშიშროების ფუნქცია ჰქონდა. მემატიანეს სიტყვებით მეფემ ისიც კი იცოდა , თუ „რაზე იყო საუბარი თითოეულ

ოჯახში“ . დავით აღმაშენებელმა გააძლიერა როგორც საიდუმლო, ასევე არასაიდუმლო პოლიციაც. ამ უკანასკნელთ სახელმწიფო და კერძო ქონების დაცვა ევალებოდათ. დავით მეფემ თავისი ნომერ პირველი მოწინააღმდეგე კლდეკარის ლიპარიტი მონანიების შემდეგ შემოირიგა, თუმცა მეორედ ღალატი არ აპატია და ორი წლით ციხეში ჩასვა, რის შემდეგაც ბიზანტიაში გააძევა, სადაც ლიპარიტი გარდაიცვალა. მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ახალგაზრდა მეფეს ქვეყნის შიგნით ბევრი მოკავშირე გაუჩნდა. ასე მაგალითად, ძაგან და მოდისტოს აბულეთის ძეების დატყვევებაში დიდი როლი შეასრულეს შიომღვიმის ბერებმა, აღსართან კახთა მეფის შეპყრობაში დიდი როლი ითამაშეს ადგილობრივმა ფეოდალმა ქავთარმა და მისმა ძმისშვილებმა, რომლებმაც მოღალატე შეიპყრეს და 1104 წელს ერწუხს მიჰგვარეს ხელმწიფეს, სადაც მეფემ თურქთა მრავალრიცხოვანი კოალიციური ჯარი დაამარცხა. ეს ომი იმითაც გამოირჩეოდა, რომ ბრძოლაში დავითს სამი ცხენი მოუკლეს და მეოთხე ცხენზე შემჯდარმა დაასრულა ბრძოლა. ომში დავითი მთელს ერს აძლევდა პირად მაგალითს- „ლაშქარს შეუზახებდა ვითარცა ლომი“.

XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა შემოიერთა კახეთი , ერწო-მთიანეთი და არაგვის ხეობა. 1103 წელს მეფემ გააუქმა კლდეკარის საერისთავო. ლიპარიტ ბაღვაშს მხოლოდ დასავლეთ საქართველოში დაუტოვა „კაცხის მამული“. ამით მეფემ თავისი ძალაუფლება კიდევ უფრო გააძლიერა.

ამავე მიზანს ემსახურებოდა 1104 წელს რუის- ურბნისში ჩატარებული საეკლესიო კრებაც. უნდა ითქვას , რომ ეკლესიას მეფის ბევრი მტერი აფარებდა თავს, რომელთაც ხშირად თანამდებობები მემკვიდრეობით ჰქონდათ მიღებული. აღნიშნულმა საეკლესიო კრებამ მიიღო ე.წ. „ძეგლის წერა“, რომლითაც ხელმწიფემ ეკლესიიდან გააძევა უზნეო პირები, განსაზღვრა სასულიერო პირთა ასაკობრივი ცენზი და ა.შ. კერძოდ , ეპისკოპოსი უნდა გამხდარიყო არანაკლებ 35 წლის სასულიერო პირი, მღვდელი-არანაკლებ 25 წლის და სხვ. კრების ჩატარების შემდგომ, 1104-1110 წლებში, დავით აღმაშენებელმა თავისი აღმზრდელი გიორგი მწიგნობართუხუცეს- ჭყონდიდელი (მეგრულად „ჭყონ დიდი“- დიდ მუხას ნიშნავს-ავტ.) და ეპისკოპოსი ქვეყნის მთავრობის მეთაურად და ეკლესიის მმართველად აქცია. მასვე ჩააბარა ე.წ. „სააჯო კარი“ (ძველ ქართულში: აჯა-თხოვნა- ავტ.) , რომელიც უზენაეს სასამართლოს წარმოადგენდა. მეფე ეკლესიას ამ პირის მეშვეობით მართავდა, რადგან თავად, როგორც საერო პირს ამის უფლება არ ჰქონდა.

მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელის ქვეყნის პირველ ვაზირად (ანუ არაბულად მრჩეველად) დანიშვნამ სახელმწიფო მმართველობა უფრო ცენტრალიზებული

გახადა, რამაც მეფის ხელისუფლება კიდევ უფრო გააძლიერა, ასევე უფრო სამართლიანი გახდა სასამართლო სისტემა.

დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება ქვეყანაში გზების, ხიდების, სასტუმროების, ანუ ძველებურად ფუნდუკების მასობრივი მშენებლობა. ქალაქებში გაიხსნა სახელოსნოები, საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტზე მიუთითებს ქვეყანაში არაბულწარწერიანი ფულის მოჭრაც, რომელიც უცხოეთში ვრცელდებოდა. ქვეყნის შიგნით ქართულწარწერიანი ფული გამოიყენებოდა. აღორძინდა საქართველოს ეკონომიკა. დიდი ყურადღება მიექცა მუდმივი ჯარის წვრთნას.

1099 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს . დავით აღმაშენებელმა ამ ფაქტით ისარგებლა და 17 წლის შემდეგ თურქ-სელჩუკებს ხარკი შეუწყვიტა. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანამ ეკონომიკურად „ამოისუნთქა“ და ხელ-ფეხი გაეხსნა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართულმა ჯარმა 1110 წელს თურქებისგან გაათავისუფლა სამშვილდე. 1115 წელს-რუსთავი, 1118 წელს- ლორე და აგარანი. 1118 წელს ლორე-ტაშირის აღების შემდეგ მეფემ „სომეხთა მეფის” ტიტული მიიღო. თურქების წინააღმდეგ მეფე მოკავშირეებს ეძებდა. მან ამ მიზნით თავისი უფროსი ასული თამარი შირვანის შაჰს მანუჩარს მიათხოვა, ხოლო მეორე ასული კატა- ბიზანტიის კეისრის უმცროს ვაჟს ისააკს. ამავე მიზნით დავით აღმაშენებელმა მეორე ცოლად შეირთო ყივჩაღთა ერთ-ერთი მთავრის ათრაქა-შარახანის ძის ასული გურანდუხტი. მუდმივი ჯარის გაძლიერების მიზნით რუსეთიდან 1118-1120 წლებში ყივჩაღთა 40 ათასიანი ოჯახი ჩამოასახლა, რომელთაც თითო მეომრის გამოყვანა ევალებოდათ, ე.ი. სულ 40 ათასი ჯარისკაცის.

ქალაქ თბილისის კვლავ შემოერთების გზაზე მნიშვნელოვანი იყო 1120 წელი. ქალაქის მესვეურებმა ამ წელს მეფეს 1000 დინარის გადახდა აღუთქვეს. ამ გადაწყვეტილებას თურქთა კოალიციური ჯარის ლაშქრობა მოჰყვა. მუსლიმთა ლაშქრის სიდიდე, ზოგი ვერსიით 300 ათასი მეომარი იყო, ზოგიც მის რიცხოვნებას 600 ათასით განსაზღვრავს (ფრანგი გოტიე-ავტ.) . თურქებს ცნობილი სარდალი ილღაზი მეთაურობდა. მათ წინააღმდეგ დავით აღმაშენებლმა 55600 მეომარი გამოიყვანა. კერძოდ 40 ათასი ქართველი, 15 ათასი ყივჩაღი (როგორც ჩანს მეფე მათ ბოლომდე არ ენდო -ავტ.) , 500 ოსი და 100 ჯვაროსანი.

დიდგორის ომი 1121 წლის 12 აგვისტოს გაიმართა.მეფემ ქართველთა ჯარს უკან დასახევი გზა ჩაუხერგა. დავით მეფის გეგმის მიხედვით ქართველთა 200-მა მეომარმა თავი გაწირა და გეზი მტრის ლაშქრის ბანაკისაკენ აიღო. თურქებს ისინი მოღალატეები ეგონათ, ამიტომ ბანაკში უპრობლემოდ შეუშვეს, სადაც მათ თურქების წინააღმდეგ იარაღი მიმართეს, რამაც მათ რიგებში პანიკა და

არეულობა გამოიწვია. დავით აღმაშენებლის და მისი უფროსი ვაჟის დემეტრე უფლისწულის სარდლობით ქართველთა ლაშქარმა სამ საათში პირწმინდად დაამარცხა მტერი, რასაც მეფის მემატიანემ „ძლევაი საკვირველი“ უწოდა. ქართველებს ერგოთ მდიდარი ნადავლი. 400 წლიანი პაუზის შემდეგ, თბილისი (1122წ) კვლავ ქვეყნის დედაქალაქი გახდა. დავით აღმაშენებელმა 1123-1124 წლებში რამდენჯერმე ილაშქრა შირვან-შაჰის წინააღმდეგ და მის ციხე-სიმაგრეებში თავისი მეომრები ჩააყენა. 1124 წელს მან თურქებისაგან ქართული ქალაქი დმანისიც გაათავისუფლა. იმავე წელს თურქთა 60 წლიანი ბატონობისაგან დაიხსნა სომხური ქალაქი ანისი, რის შემდეგაც საქართველოს მეფემ „შაჰან-შაჰის“ ტიტულიც მიიღო. იმავე 1124 წელს დავით აღმაშენებელმა ჩრდილო კავკასიაში დარუბანდის სამთავროც აიღო.

დავით მეფემ შექმნა თარგმნილი წიგნების საუცხოო ბიბლიოთეკა, რომელსაც ხელმწიფე ბრძოლებშიც კი დაატარებდა. თავისუფალ დროს წიგნების კითხვით ირთობდა თავს, რამაც ერთხელ კინაღამ მისი დაღუპვა გამოიწვია.

მეფე მოაზროვნე ფილოსოფოსი და ბრწყინვალე თეოლოგი იყო. მან კარგად იცოდა როგორც ქრისტიანული, ასევე ისლამური ღვთისმეტყველების ნიმუშები. შეეძლო მათ თაობაზე კამათში მონაწილეობა და საკუთარი შეხედულების დამტკიცება.

ცნობილია , რომ დავით მეფემ 40 ქართველი ყმაწვილი გაგზავნა ბიზანტიაში უცხო ენების შესასწავლად და ქართულად წიგნების სათარგმნელად. ეს პირობა ყმაწვილებმა პირნათლად შეასრულეს.

დავით აღმაშენებელი გამოირჩეოდა ტოლერანტობით , ანუ ეთნიკური და რელი-გიური შემწყნარებლობით. ქართველ მეფეს ხშირად ნახავდით ადგილობრივ სომეხთა გრიგორიანულ ეკლესიებში, ადგილობრივ ებრაელთა სინაგოგებში, მუსლიმთა მეჩეთებში და ა.შ.

მან გორში სომხების ჩამოსახლებით ხელი შეუწყო ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას. თბილისში მუსლიმ ვაჭრებს უფრო დაბალი გადასახადები დაუწესა , ვიდრე ქრისტიანებს და ებრაელებს.

XII საუკუნის დასაწყისში გელათში დააარსა აკადემია და ქსენონი (საავადმყოფო), რომელთაც დავით მეფე თავისი სახსრებით ინახავდა. მათ შეწირა დიდძალი მამული და ძვირფასეულობა. ქსენონში დავით მეფე თავისი ხელით უვლიდა ავადმყოფებს, რაც მის თავმდაბალ ბუნებაზე მიუთითებს. ეს კარგად ჩანს მეფის შემორჩენილ პოეტურ ქმნილებაშიც „გალობანი სინანულისანი“, რაც მის უდაო ნიჭიერებაზე მეტყველებს.

1125 წლის 24 იანვარს , 52 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა დავით IV აღმაშენებელი, რომელიც გელათის ტაძრის შესასვლელში დაკრძალეს. გელათის ტაძარმა და დავით გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის კედლებმა შემოგვინახეს დავით მეფის ფრესკული გამოსახულება. ქართველები მის საპატივცემულოდ ქვეყნის დროშას „დავითიანსაც“ უწოდებდნენ.

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ გამოჩენილი მეფე წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ ძველი სტილით 26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი) დააწესა.

თამარ მეფე (1184-1213წწ.)

თამარ მეფე საქართველოს ისტორიაში პირველი ქალი ხელმწიფეა. იგი 1166 წელს დაიბადა (მეცნიერები ასახელებენ სხვა თარიღებსაც-ავტ) საქართველოს მეფის გიორგი III-ისა (1156-1184) და ბურდუხან დედოფლის ოჯახში. თამარის აღზრდაში დიდი წვლილი შეიტანა მამიდა რუსუდანმა, რომელიც ხორასნის სულთნის ცოლყოფილი იყო.

1177 წელს დაწყებულ დემნა უფლისწულის შეთქმულების ჩახშობის შემდეგ (შეთქმულება 6 თვე გაგრძელდა-ავტ) გიორგი III-მ თავისი ქალიშვილი 1179 წელს თანამოსაყდრედ დაისვა. მამა-შვილი 5 წელი ერთად მართავდა ქვეყანას, როგორც თანამეფეები.

1184 წლის 27 მარტს გიორგი III კახეთში სტაგირს გარდაიცვალა. იმავე წელს, უამინდობის გამო, მეფე ჯერ მცხეთაში, ხოლო შემდეგ იმავე წელს გელათის მონასტერში დაკრძალეს. 1184 წელს თამარი მეორედ აკურთხეს მეფედ. ამით დაიწყო პირველი მეფე ქალის ერთპიროვნული ზეობა საქართველოში.

შექმნილი ვითარებით ისარგებლეს დიდგვაროვნებმა, რომლებმაც თანამდებობებიდან გადააყენეს თამარ მეფის მიერ დაწინაურებული მსახურთუხუცესი აფრიდონი და ამირსპასალარი ყუბასარი, რომლებიც დიდგვაროვნები არ იყვნენ. ფეოდალურმა ოპოზიციამ თავისი ლიდერი მიქაელი, რომელიც ქვეყნის კათოლიკოს- პატრიარქი იყო სახელმწიფოს პირველ ვეზირად ჭყონდიდელმწიგნობართუხუ-ცესად გახადა. იგი ამავე დროს მაწყვერელიც იყო, ანუ აწყურის ეპისკოპოსიც. ამგვარად, ოპოზიციის მეთაური ქვეყნის ფაქტობრივ მმართველად იქცა.

ქართველ დიდებულთა მეორე ნაწილი ყურთლუ-არსლანის მეთაურობით ისანში „კარავის“ დადგმას მოითხოვდა, რომელიც პარლამენტის მსგავსი დაწესებულება იქნებოდა. ევროპაში მსგავსი ორგანო რამდენიმე ათწლეულით გვიან დაარსდა.

თამარ მეფემ თავდაპირველად ყურთლუ- არსლანის შეპყრობა ბრძანა, რამაც ოპოზიციის გააქტიურება გამოიწვია. ქალმა ხელმწიფემ ამის შემდეგ თავის პოლიტიკა შეცვალა და მეამბოხეებთან მოსალაპარაკებლად ორი დიდებული

მანდილოსანი - ხვაშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი გაგზავნა. მიღწეული იქნა კომპრომისული გადაწყვეტილება. ამბოხებულებმა უარი თქვეს „კარავის“ შექმნაზე. ამის სანაცვლოდ მეფემ ციხიდან გაათავისუფლა ყურთლუ-არსლანი. გაიზარდა „დარბაზის“ ფუნქციებიც, რაც მეფის ხელისუფლების შეზღუდვას ნიშნავდა.

თამარ მეფემ საეკლესიო კრების მოწვევის გზით ოპოზიციის მეთაურის მიქაელის კათალიკოსობიდან გადაყენება ვერ შეძლო. მის შემცვლელად ნიკოლოზ გულაბე-რისძის იერუსალიმიდან ჩამოყვანაც წარუმატებლად დასრულდა.

ამავე საეკლესიო კრებამ განიხილა თამარისათვის მეუღლის მოყვანის საკითხი. ოპოზიციას თამარისათვის უკითხავად ჰყავდა საქმრო შერჩეული. ეს კანდიდატი იყო ვლადიმერ-სუზდალის (რუსეთი) მთავრის ანდრია-ბოგოლუბსკის ვაჟი იური, რო-მელსაც ქართულ საისტორიო წყაროებში „გიორგი რუსად“ , ხანაც „უბედურ რუსად“ მოიხსენიებდნენ. იგი ბიძამ სამთავროდან გააძევა და ყივჩაღეთში აფარებდა თავს, ამიტომ ქართველი დიდებულებისათვის იგი ადვილად სამართავი იქნებოდა, ქართული ოპოზიციისათვის ეს ყველაზე მთავარი იყო. მათთვის მისი პიროვნული, ან ზნეობრივი თვისებები ნაკლებად საინტერესო იყო. თუმცა ფეოდალებმა ისიც იცოდნენ, რომ „გიორგი რუსი“ ახოვანი ვაჟკაცი, კარგი მეომარი და სარდალი იყო. იძულებითი ქორწილი 1185 წლის გაზაფხულზე შედგა.

1185 წლის 16 აგვისტოს დადებული „ფიცის წიგნით“ თამარ მეფე პირობას დებდა , რომ არ ჩაერეოდა ხლათის, იგივე შაჰ-არმენთა სასულთნოს საქმეებში, რომლის მეთაური სუქმან II მალე გარდაიცვალა. ეს პირობა თამარმა შეასრულა, თუმცა ქართულმა ლაშქარმა შავშეთსა და კლარჯეთში შემოჭრილი თურქების გაძევება შეძლო.

თამარ მეფის გაძლიერების წინაპირობა გახდა 1186 წელს მიქაელ კათოლიკოსის გარდაცვალება. მეფემ ამის შემდეგ ხელისუფლების სადავეები მთლიანად ჩაიგდო ხელთ. მანვე ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესად კვლავ დააბრუნა თავისი ერთგული პირი ანტონ გნოლისთავის-ძე, ვარდან დადიანი მსახურთუხუცესი გახდა, სარგის ჯაყელი- ამირსპასალარი, გამრეკელ-თორელი-საჯინიბოს უფროსი გახდა,ჭიაბერი -მანდატურთუხუცესი, მარუშიანი მეფის დაცვის უფროსად დაინიშნა. თამარის ერთგული პირები ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან თანამდებობას ფლობდნენ, როგორც ცენტრალურ ხელისუფლებაში , ასევე პროვინციებში. თამარი ქვეყნის ჭეშმარიტად პირველი პირი გახდა.

თამარ მეფის პირველ ქმარს მძიმე სიმთვრალე და სხვა უზნეო თვისებები აღმოაჩნდა, თანაც ტახტს მემკვიდრე არ გაუჩნდა. განქორწინების საფუძველი ცოლქმრული ღალატი გახდა.

მეფის ხელისუფლების გაძლიერების პირობებში ქორწინების გაბათილება შესაძლებელი გახდა. ეს ცნო ქვეყნის „დარბაზმაც“ და კათოლიკოს-პატრიარქმაც. გიორგი რუსი ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ დიდი ქონებით და პატივით ბიზანტიაში გაამგზავრეს. მალე თამარი მეორედ დაქორწინდა დავით სოსლანზე, რომელიც მამით ოს მეფეთა ეფრემიანთა საგვარეულოს, ხოლო დედის მხრივ- ბაგ-რატიონთა საგვარეულოს ეკუთვნოდა.

1191 და 1193 წლებში წარუმატებლად დასრულდა მეფის ტახტზე გიორგი რუსის უკან დაბრუნების მცდელობები.

1193 წელს თამარ მეფეს და დავით სოსლანს ტახტის მემკვიდრე ლაშა-გიორგი, იგივე გიორგი IV შეეძინათ. ამის აღსანიშნავად ქართულმა ლაშქარმა რანის ქვეყანა და ბარდავი დაარბიეს. 1195 წლის 1 ივნისს ჩვენმა ჯარმა შამქორში გაიმარჯვა. ქართველებმა განძაში თავისი მოკავშირე ფაჰლავანი გაამთავრეს, თუმცა მისი მმართველობა მხოლოდ 22 დღე გაგრძელდა. იგი საკუთარმა ძმამ აბუ-ბექრმა მოაწამვლინა. 1199 წელს, მაისში შირვანი საქართველოს საბოლოოდ შემოუერთდა. თამარის ლოცვა-კურთხევით ქართველებმა 1202 წლის 27 ივლისს ბასიანის ველზე (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე-ავტ.) დაამარცხეს რუმის, იგივე რომის სულთნის რუქ-ნადინის მრავალრიცხოვანი ჯარი, რასაც 1203 წელს ქალაქ დვინის აღებაც მოჰყვა.

1204 წლის მარტში ჯვაროსნებმა , თავიანთი IV ლაშქრობის დროს, ბიზანტია დაიპ-ყრეს და იქ ლათინთა, ნიკეის იმპერიები და სხვა სახელმწიფოები დააარსეს.

1204-1207 წლებში საქართველოს ჯარმა ხლათის სასულთნოს ჩრდილოეთით რამდენჯერმე ილაშქრა.

როგორც ცნობილია, 1204 წელს თამარ მეფის ინიციატივით საქართველოს შავიზღვისპირეთის სამხრეთში შეიქმნა „ტრაპზონის იმპერია“ , რომელსაც მეფის ნათესავი ალექსი კომნენოსი ჩაუყენა სათავეში, რომელმაც 18 წელი იმეფა. აღნიშნული სამეფო საქართველოს სამხრეთიდან იცავდა გარეშე მტრების შემო-სევებისაგან.

დავით სოსლანის მეთაურობით ქართულმა ლაშქარმა 1207 წლის იანვარში ქალაქი კარი, იგივე ყარსი აიღო და უშუალოდ საქართველოს სამეფოს დაუქვემდებარა. იმავე 1207 წელს დავით სოსლანის გარდაცვალებამ ქართულ ლაშქარს არ მისცა ხლათისაკენ ლაშქრობის საშუალება.

მალე ქართველებმა ხოსაბანში (აღმ. ირანი-ავტ.) ლაშქრობა გადაწყვიტეს. მანამდე ქართველებს ასე შორს არასოდეს ელაშქრათ. სპარსეთში , იგივე ირანში ლაშქრობის თარიღად უპირატესად 1209 წელი სახელდება.

ქართულმა ჯარმა პირველად ადარბადაგანის დიდი ქალაქი მარანდია აიღეს. ამას თავრიზის აღება მოჰყვა. თავრიზი და მიანა უბრძოლველად იქნა აღებული. ქართველებს ფიცხელი ბრძოლა გაუმართა ზენქარის მოსახლეობამ, თუმცა მოლაშქრეებმა ქალაქი მაინც აიღეს. სპარსულ ქალაქ ყაზვინის აღების შემდეგ ქართული ჯარი ხორასანში შეიჭრა. ქართველებმა აიღეს განთქმული ქალაქი გორგანი, აიღეს ავღანეთის ქალაქები და დიდი ნადავლით სამშობლოში დაბრუნ-დნენ.

1209 წელს საქართველომ განაახლა ხლათისათვის ბრძოლა. მათ ადგილობრივი სომხური მოსახლეობაც მიემხრო. 1210 წელს ხლათის ციხე-სიმაგრეს ალყა შემოარტყეს, თუმცა ივანე მხარგრძელის ტყვედ ჩავარდნამ აიძულა ისინი ხლათის ეგვიპტელ სულთანთან 30 წლიანი ზავი დაედოთ. ივანე მხარგრძელის გამოსასყიდი 100 ათასი ოქროს დინარი დაჯდა. ივანეს ძმა ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი 1210 წელს გარდაიცვალა და ძმის თანამდებობა ივანემ დაიკავა. მანვე ითხოვა მეფისაგან ათაბაგობა და მიიღო კიდეც. იგი ქვეყნის პირველი ათაბაგი გახდა. ათაბაგი სამეფო მემკვიდრის აღმზრდელს და მთავრობის მეთაურს ნიშნავდა.

სწორედ ივანე ათაბაგის სახელს უკავშირდება 1210-1212 წლებში ფხოველების (ხევსურთა და ფშავთა წინაპრები-ავტ.) და დიდოელების (ერთ-ერთი დაღესტნური ტომი-ავტ.) ამბოხის ჩახშობა. ეს ფაქტი მეტყველებდა იმაზე, რომ ქვეყანაში ყველაფერი წესრიგში არ იყო. თუმცა ათაბაგმა მთიელები კვლავ თამარ მეფეს დაუმორჩილა.

1213 წლის 27 იანვარს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თამარ მეფე, რომელიც დროებით ჯერ მცხეთაში, ხოლო შემდეგ გელათში დაკრძალეს. მეცნიერები მეფის გარდაცვალების თარიღებად ასევე ასახელებენ 1207 და 1210 წლებსაც. ასევე ჯერ-ჯერობით არ დასტურდება ფრანგი ჯვაროსანი რაინდის დე'ბუას ცნობა თამარის ნეშტის გელათიდან იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადასვენების შესახებ.

თამარ მეფე მართალია მტრის მიმართ მკაცრი იყო, თუმცა იგი არასოდეს ყოფილა სასტიკი და დაუნდობელი. ასე მაგალითად მას სიკვდილით არ დაუსჯია აჯან-ყებული პირებიც კი. მეფე ქალი ქვეყნის შემოსავლის მეათედს („გლახაკთა ნაათალი"-ავტ.) ურიგებდა ღარიბ-ღატაკებს, მათვე ახმარდა თავისი ხელსაქმის გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხებსაც.

თამარის მოღვაწეობის ბოლო წლები განსაკუთრებით გამოირჩეოდა აღმშენებ-ლობითი მოღვაწეობით. ქვეყანა გზებით, ხიდებით , არხებით დაიფარა. ამ დროს აშენდა 119 კმ სიგრძის ალაზნის არხი, რომელიც 53 ათას ჰექტარს რწყავდა. შემთხვევითი არაა ისიც, რომ ქართველები თამარ მეფის ხანაში აგებულად მიიჩნევენ ძველად აგებულ ციხე-სიმაგრეებსა და ტაძრებს.

არაერთმა დიდმა ქართველმა პოეტმა უძღვნა თამარ მეფეს პოეტური ქმნილება. მათ შორისაა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანიც“ .

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ თამარ მეფე წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 1(14) მაისი დააწესა.

გიორგი V ბრწყინვალე (1318-1346წწ.)

დემეტრე თავდადებულს (1279-1289წწ.) მესამე ცოლისაგან ბექა ჯაყელის ასულ ნათელასაგან შეეძინა მხოლოდშობილი ვაჟი გიორგი (მომავალი ბრწყინვალე). მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ შვილიშვილის აღზრდა ბაბუამ იკისრა. ბექა ჯაყელი სამცხის მთავარი იყო (1295-1308). იგი ქვეყნის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე იყო, იგი ამასთან სრულიად საქართველოს მანდატურთუხუცესიც იყო. მის სახელს უკავშირდება 65 მუხლისაგან შემდგარი სამართლის კრებული „ წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე“ (ადამიანის ყველანაირი დანაშაულის წიგნი). ბექა ჯაყელის მეუღლე ვახახი დიდ მზრუნველობას იჩენდა შიმშილობას გამოქცეულ ქართველ თანამოძმეთა მიმართ.

ბექამ ისარგებლა ყაზან-ყაენის ნდობით და მოგვიანებით მისი თანხმობით კარის (ყარსის) ციხე-ქალაქს და მის მიმდებარე ქვეყანას დაეუფლა. მან თავისი ასული მიათხოვა ტრაპიზონის კეისარს ალექსი მეორეს (1297-1320), რომელმაც სიმამრს უბოძა „ტრაპიზონის აქეთ ჭანეთითურთ“. ამდენად, ბექას სამფლობელო ტაშისკარიდან არზრუმამდე და შავ ზღვამდე გადაიჭიმა.

1299 წელს (ზოგი მეცნიერი 1297 და 1298 წლებს ასახელებს-ავტ.) დავით VIII-ის (1293-1311) საპირისპიროდ მონღოლებმა მეფედ დასვეს მისი ძმა გიორგი (შემდეგში გიორგი V ბრწყინვალე-ავტ.). მცირეწლოვანი მეფის ფაქტიურ მფლობელობაში მხოლოდ თბილისი შედიოდა. მალე ამ უფლებასაც დაეკარგა ძალა, როცა მონღოლებ-მა მეორე ძმა ვახტანგ III (1298-1308) გაამეფეს. ვახტანგ მეფის გარდაცვალების შემდეგ, მონღოლებმა სამეფო ტახტზე დავით VIII-ის შვილი გიორგი მცირე (გიორგიVI) აიყვნეს. რომელსაც მოურავად (მეურვედ) „ გიორგი დიმიტრის-ძე დაუდგინეს“ . ბიძა ძმიშვილის მსგავსად მცირეწლოვანი იყო.

1317 წელს ილხანთა ტახტზე 12 წლის აბუ -საიდი ავიდა, ქვეყნის პირველი ვეზირი გახდა ბექა ჯაყელის ძველი მეგობარი ჩობან ნოინი. გიორგი V-მ ამით ისარგებლა, სპარსეთში გაემგზავრა და მეფობა ითხოვა. ამჯერად 1318 წელს მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. გიორგი V საქართველოს ერთპიროვნული მეფე გახდა. გიორგი ბრწყინვალეს ფორმალურად ქვეყნის გაერთიანების ნება დართეს. ახალი მეფის წინაშე უმძიმესი ამოცანა იდგა: ქვეყნის ფაქტობრივი გაერთიანება, მონღოლების მიერ მოშლილი სახელმწიფო ცხოვრების წესისა და კანონის

აღდგენა, ასევე მონღოლთა უღლის გადაგდება. მონღოლებს საქართველოს დახმარების იმედი ჰქონდათ და მის გაერთიანებას ხელს არ უშლიდნენ.

მონღოლები საქართველოს ახალ მეფეს ენდობოდნენ. ამის დასტურია ისიც, რომ ქვეყანაში მხოლოდ ერთი დუმანი, ანუ 10 ათასი მეომარი იდგა. ისინი ქვეყნის საშინაო საქმეებში არ ერეოდნენ.

გიორგი V პირველ რიგში ოსთა საკითხის გადაჭრას შეეცადა. ჯერ კიდევ დავით VIII-ის მეფობის დროს (1293-1311) საქართველოში გადმოსახლებულმა ოსებმა, ისარგებლეს მონღოლთა მფარველობით, გორის ციხე დაიკავეს და მოსახლეობის ძარცვა-რბევას მიჰყვეს ხელი. ილხანთა შიშით საქართველოს მეფე მათ წინააღმდეგ გადამწყვეტ ზომებს ვერ იღებდა. ახლა საქართველოს მეფე გიორგი V-ს ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონდა. მეფემ გორი ადვილად აიღო, ქართლის სხვადასხვა ციხე-სიმაგრეებში გამაგრებული ოსები დაამარცხა და ისინი აიძულა სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ამასთან ერთად გიორგი V-მ ოსეთშიც ილაშქრა და მათ ხარკიც დააკისრა.

1327 წელს ილხანთა ყაენის აბუ-საიდის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს გიორგი V-ის მეგობარი ჩობან-ნოინი, რასაც სახელმწიფოში დიდი არეულობა მოჰყვა. საქართველოს მეფემ ამით ისარგებლა და ქვეყნის შიგნით მონღოლების მომხრე დიდებულებს გაუსწორდა. კერძოდ, კახეთში ცივის დარბაზობაზე მეფემ თავები დააყრევინა მონღოლთა მომხრე ჰერ-კახთა და სომეხთა ერისთავებს. გიორგი V-მ მათ ნაცვლად თავისი ერთგული პირები დანიშნა. მალე გიორგი V წარმატებით ლაშქრობს რანსა და შირვანში, რომელთა დახარკვის შემდეგ ისინი კვლავ საქართველოს დაუმორჩილა.

დასავლეთ საქართველოს ქართული სამეფო ცნობილია, რომ დავით ნარინის მეფობის ხანაში ჩამოყალიბდა. დავით ნარინი 1293 წელს გარდაიცვალა, მის ნაცვლად ტახტზე მისი ვაჟი კონსტანტინე ავიდა, რომელსაც მეორე ძმა მიქაელი დაუპირისპირდა, რომელმაც რაჭა და არგვეთი წაართვა. 1327 წელს კონსტანტინე გარდაიცვალა, იგი მიქაელმა შეცვალა, თუმცა 1327 წელს ისიც გარდაიცვალა. მიქაელს მცირეწლოვანი ბაგრატი დარჩა, რომელმაც "ვერ იკადრა მეფობა" და ქუთაისის ციხეში გამაგრდა. ამით ისარგებლა გიორგი V ბრწყინვალემ, რომელიც ჯარით 1330 წელს ქუთაისისკენ გაემართა. მცირეწლოვანი ბაგრატი იძულებული გახდა მეფისათვის უვნებლობის ფიცით ქუთაისი გადაეცა, გიორგი V-მ უფლისწულს არგვეთი და შორაპნის ერისთავობა უბოძა. თვითონ სამეგრელოში ილაშქრა და იქ თავისი მეციხოვნეები ჩააყენა. ამდენად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო კვლავ ერთ სამეფოდ გაერთიანდა.

ჯერ კიდევ 1327 წელს მან თავის ბიძას, ბექა ჯაყელის უფროს ვაჟს სარგისს მანდატურთუხუცესობა და ათაბაგობა უბოძა, რაც ფორმალურად საქართველოს სამეფოში სამცხის სამთავროს იურისდიქციის აღდგენას ნიშნავდა. 1334 წელს გარდაიცვალა სარგის ჯაყელი, რითაც გიორგი V-მ ისარგებლა, ჩავიდა სამხცეში და მამის ტიტულები მის შვილს- ყვარყვარეს უბოძა. ამით კვლავ აღდგა საქართველოს ერთიანობა. მეფემ სამთავროში თავისი ერისთავები დააყენა. ამით დასრულდა საქართველოს ერთიანობის აღდგენა.

1333-1334 წლებში ილხანთა ყაენმა აბუ-საიდმა საქართველოში თავის ნაცვლად ჰასან ჯალაიარი დანიშნა, რომელიც გიორგი V-მ ქვეყანაში არ შემოუშვა. ეს მონღოლთა ბატონობისაგან ფორმალურ გათავისუფლებას ნიშნავდა.

1335 წელს გარდაიცვალა აბუ-საიდი , რასაც ილხანთა სახელმწიფოს დაშლა მოჰყვა. ამგვარად, დასრულდა მონროლთა 90 წლიანი ბატონობა საქართველოში.

1338-1340 წლებში გიორგი V-მ საქართველოში მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც გადააყენა უღირსი მღვდელმთავრები და გამართა საეკლესიო ცხოვრების წესები.

1138 წელს საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრა ჩობანიანთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ჰასან-ქუჩუკმა (პატარა ქუჩუკმა). გიორგი V-ის ლაშქარმა მტერი რანსა და განძაში სასტიკად დაამარცხა.

საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის მაუწყებელია, გიორგი V-ის მიერ ე.წ. “გიორგაული თეთრის” მოჭრა, რაც ქვეყნის სუვერენიტეტის უტყუარი ნიშანი იყო. კახეთში , ქალაქ ყაიაღაჯში დაარსდა ზარაფხანა, სადაც ფული 20 წელი იჭრებოდა. საქართველოში ფული იჭრებოდა აგრეთვე ქუთაისში , დმანისში, ანისში და თბილისში. ქვეყანაში გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება, ვაჭრობა-ხელოსნობა.

უნდა ითქვას, რომ გიორგი ბრწყინვალეს ზეობის ხანაში შეიქმნა “ხელმწიფის კარის გარიგება”, რომლის ტექსტი დაცულია XVII საუკუნის ხელნაწერში. იგი აღმოაჩინა ივანე ჯავახიშვილმა და გამოსცა 1920 წელს. ტექსტი ნაკლულია, ეს არის პირველი დოკუმენტი, სადაც ერთადაა განხილული ექვსივე ვეზირის უფლება-მოვალეობანი.

გიორგი V-მ თავისი მეფობის პირველ წლებში ეგვიპტეში ორი ელჩობა გაგზავნა, რის შედეგადაც საქართველომ მთლიანად დაიბრუნა თავისი პრივილეგიები წმინდა მიწაზე. ეგვიპტის სულთნები ძალზე აფასებდნენ გიორგი V-სთან ურთიერთობას, რაც მიმართვის ფორმაშიც აისახა.

გიორგი V-მ თავისი მეფობის პირველივე წლებში დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა რომის პაპთანაც. ამ უკანასკნელმა თბილისში კათოლიკური ეკლესიის

კათედრა გახსნა. სმირნიდან (იგივე იზმირი) 1328 წელს რომის პაპმა საეპისკოპოსო კათედრა გადაიტანა თბილისში.

გიორგი V-ს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთის მეფე ფილიპე V ვალუასთან (1328-1341წწ.) . ქართველთა მეფემ 1333-1334 წლებში თბილისში მიიღო ფრანგი მეფის ელჩები. აწარმოებდა მიმოწერას საფრანგეთის მეფესთან.

1130-იან წლებში გიორგი V-ის ჯარმა დაამარცხა თურქ-ოსმალთა მარბიელი ლაშქარი.

1341 წელს პროქართული ორიენტაციის -ანა ხუტლუ ტრაპიზონის სამეფოს ტახტზე ავიდა, თუმცა 1343 წელს დედოფალი ტახტიდან ჩამოაგდეს და სიკვდილით დასაჯეს. პროქართულმა პარტიამ ტრაპიზონში 1348 წელს მაინც გაიმარჯვა. ამის შემდეგ ლაზებმა სასახლის მოხელეთა დიდი ნაწილი შეცვალეს.

XVIII საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი წერდა გიორგი V-ის შესახებ: “ ხოლო ამისათვის ეწოდა მეფესა გიორგი ბრწყინვალე, რამეთუ იყო ჰაეროვნებითა მშვენიერებით და ახოვანებით უებრო, მოწყალე , უხვი, ობოლთა, ქვრივთა დავრდომილთა შემწყნარებელი. ივერია (საქართველო) დაფანტული სამთავროდ, ამან სიბრძნე-გონივრებით კვლავაც გააერთიანა. ვითარცა აღმაშენებელმა აღაშენა ქვეყანა...”. შემთხვევითი არაა, რომ ცნობილი ქართველი მწერალი და ისტორიკოსი ლევან სანიკიძე გიორგი ბრწყინვალეს “მეორე აღმაშენებელს” უწოდებდა. საქართველო კვლავაც “ნიკოფსიიდან დარუბანდამდე” გადაიჭიმა. მას ჩრდილოეთ საქართველოში ემორჩილებოდნენ ოსები, დურძუკები, დაღესტანში მოსახლე ლეკები და ხუნძები. მეფემ წარმატებით ილაშქრა შაქში, შარვანში, რანში, იგივე განძაში, რომლებიც მოხარკედ გაიხადა. კვლავაც საქართველოს ფარგლებში შედიოდა ანისის ქვეყანა, თუმცა სომხური ქალაქები დვინი, ნახჭევანი და მისი მიმდებარე ქვეყნები საქართველოს ფარგლებში უკვე აღარ შედიოდნენ. ჰერეთის უკიდურესი აღმოსავლეთი მხარე, რომელსაც ადრე ქართველი დიდებულები განაგებდნენ მუსლიმურ სამთავროდ იქცა. ამის მიუხედავად საქართველო მაინც ფრიად ვრცელ ქვეყნად და ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ რჩებოდა.

1346 წელს გარდაიცვალა გიორგი V ბრწყინვალე, რომელიც გელათში დაკრძალეს. ლევან სანიკიძე ნაშრომში “წიგნი მოწამეთა” -ში წერდა: “ მისი სიკეთე, სიწმინდე და სიდიადე მას ღირსეულ ადგილს მიუჩენს ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გვერდით”.

დასკვნა

ამრიგად, ვახტანგ გორგასალი (442-502), დავით IV აღმაშენებელი (1089-1125), თამარ მეფე (1184-1213) და გიორგი V ბრწყინვალე (1318-1346) საქართველოს ისტორიაში გამორჩეული და უდიდესი მეფეები იყვნენ, რომლებმაც ქვეყნის ცხოვრებაში ღრმა კვალი დაამჩნიეს. მართალია , ისინი სხვადასხვა საუკუნეებსა და წლებში მოღვაწეობდნენ , თუმცა მათი საქმიანობით ქვეყანაში "ოქროს ხანა" დაიწყო.

ეს მეფეები გამოირჩეოდნენ პიროვნული და ადამიანური თვისებებით, რეფორ-მატორული და სახელმწიფო-პოლიტიკური მოღვაწეობით, შინა და გარეშე მტრების წინააღმდეგ ომებით. ქართველი ხალხი მათდამი სიყვარულსა და პატივისცემას დღემდე ინარჩუნებს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა

ვახტანგ გორგასალი;

დავით აღმაშენებელი;

თამარ მეფე;

გიორგი ბრწყინვალე.